N 2848 2015 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გრანტის მიღების შესახებ დოკუმენტის პროექტის მოწონების თაობაზე

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) ქვეკონტრაქტორ კომპანია „CH2MHILL“-ს შორის „ბიოლოგიური საფრთხის შემცირების პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსებული ურთიერთთანამშრომლობის საგრანტო პროექტი (თემაზე: კომუნალური, უსაფრთხოებისა და სხვა მიზნობრივი სერვისების ხარჯების

დაფარვა TADR–ის სამომსახურეო ხარჯების უზრუნველყოფით სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა (NCDC) და მას დაქვემდებარებულ გორის, თელავისა და ახალციხის ლაბორატორიებში, ქუთაისის ზონალურ ლაბორატორიასა (ZDL) და მას დაქვემდებარებულ ზუგდიდისა და ამბროლაურის ლაბორატორიებში, ბათუმის ზონალურ ლაბორატორიასა (ZDL) და მას დაქვემდებარებულ ფოთისა და ოზურგეთის ლაბორატორიებში (LSS)).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საგრანტო დოკუმენტში შესაბამისი პირობების დაზუსტება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან საგრანტო დოკუმენტის მოქმედებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კორექტირება მის ხელმოწერამდე ან ხელმოწერის შემდეგ გადაწყდეს ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით, საქართველოს მთავრობასთან დამატებითი შეთანხმების გარეშე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**